



ფინანსური აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

გიორგი კეკელიშვილი

23 ივნისი 2019 წელი

N 56/36

ეგზ.: N1

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისთვის
კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების აუდიტის
ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	3
	დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე	4
	1. პირობითი მოსაზრების საფუძველი	5
	2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	15
დანართები	3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა	19
	ფინანსური ანგარიშგების ფორმები	21
	საკონტაქტო ინფორმაცია	26

ტერმინები და შემოკლებები

სამინისტრო – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

შემოსავლების სამსახური – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური;

მომსახურების სააგენტო – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო;

აკადემია – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ფინანსთა სამინისტროს აკადემია;

საგამომიებო სამსახური – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახური;

საფინანსო-ანალიტიკური სამსახური – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საფინანსო-ანალიტიკური სამსახური;

სახაზინო სამსახური – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური;

ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქცია – „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოა, რომელიც ახორციელებს:

-) სახელმწიფო მმართველობას საფინანსო-საბიუჯეტო და საგადასახადო სფეროში;
-) საქართველოს ტერიტორიაზე საბიუჯეტო და საგადასახადო კანონმდებლობის დაცვის და შესრულების კონტროლს;
-) კომპეტენციის ფარგლებში ეკონომიკური დანაშაულის სფეროში პრევენციულ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას და აწარმოებს გამოძიებას;
-) სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების განკარგვის ეფექტიანი პოლიტიკის გატარებას;
-) სათამაშო ბიზნესის სახელმწიფოებრივ რეგულირებას;
-) საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს სახელმწიფო ზედამხედველობას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ინფორმაცია სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტის (ცხრილი N1), ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების (ცხრილი N2) და შრომის ანაზღაურების ხარჯების შესახებ (ცხრილი N3).

ცხრილი N1.

მუხლის დასახელება	დამტკიცებული	დაზუსტებული	%	საკასო ხარჯი
სულ :	215,098,970	233,749,086	109%	220,931,955
შრომის ანაზღაურება	102,688,000	103,744,380	101%	103,708,537
საქონელი და მომსახურება	43,284,970	62,357,586	144%	60,438,212
გრანტები	11,117,000	13,259,500	119%	13,109,738
სოციალური უზრუნველყოფა	2,127,000	3,189,120	150%	3,122,888
სხვა ხარჯები	25,894,000	26,754,200	103%	26,210,873
არაფინანსური აქტივების ზრდა	29,988,000	24,444,300	82%	14,341,707

ცხრილი N2.

ფინანსთა სამინისტრო	76,380,400	100%
შემოსავლების სამსახური ¹	26,772,591	35%
ფინანსთა სამინისტროს აპარატი	18,997,839	25%
საგამოძიებო სამსახური	18,787,090	25%
საფინანსო-ანალიტიკური სამსახური ²	7,581,599	10%
სახაზინო სამსახური	2,172,612	3%
აკადემია ³	1,109,500	1%
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური	959,169	1%
მომსახურების სააგენტო ⁴	-	0%

ცხრილი N3.

დასახელება	დამტკიცებული საშტატო	ფაქტობრივად დასაქმებული	ხარჯი	%
თანამშრომელთა რაოდენობა	5,070	4,449		
სულ			103,708,537	100
თანამდებობრივი სარგო			93,132,989	90
პრემია			6,736,810	7
დანამატი			3,112,722	3
კომპენსაცია			461,181	0
წოდებრივი სარგო			264,835	0

¹ 2018 წელს შემოსავლების სამსახურის საკუთარმა შემოსავლებმა 118,205,947 ლარი შეადგინა.

² 2018 წელს საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის საკუთარმა შემოსავლებმა 3,738,700 ლარი შეადგინა.

³ 2018 წელს აკადემიის საკუთარმა შემოსავლებმა 462,400 ლარი შეადგინა.

⁴ 2018 წელს მომსახურების სააგენტოს საკუთარმა შემოსავლებმა 6,605,600 ლარი შეადგინა.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებული ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე მათთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ დანართებს⁵ მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლების აბზაცში აღწერილი საკითხების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე, მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებს და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

⁵ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება, დანართები 1-დან 13-ის ჩათვლით.

1. პირობითი მოსაზრების საფუძველი

1.1 ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

1.1.1 საბიუჯეტო სესხები

სამინისტროს სახაზინო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, აწარმოებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული⁶ და რესტრუქტურირებული სესხების⁷ რეესტრებს.

ქვემოთ მოცემულ N4 ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია რეესტრის მიხედვით ფინანსთა სამინისტროზე რიცხული სესხების შესახებ:

ცხრილი N4.

დასახელება	სესხების რაოდენობა 31.12.2018	01.01.2018	31.12.2018
სულ:	92	413,762,587	440,762,648
სესხები, რომელთა მოთხოვნის უფლება გააჩნია სამინისტროს	40	352,750,805	375,235,357
რესტრუქტურირებული სესხები	29	11,716,550	13,596,170
სხვა სამინისტროებზე მისაკუთვნიებული სესხები	16	36,501,228	38,971,553
ლიკვიდირებულ ორგანიზაციებზე მიკუთვნიებული სესხები	7	12,794,004	12,959,568

სამინისტროს კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღრიცხულია მხოლოდ ერთი სესხი, რომლის ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 9,211,242 ლარს. ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით, გაცემული სესხები, რომლის დაბრუნებასაც მოელის სამინისტრო, აკმაყოფილებენ აქტივებად⁸ აღიარების კრიტერიუმებს. სამინისტროს არ აქვს შემუშავებული სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემული სესხების ანგარიშგებაში ასახვასთან დაკავშირებით, ასევე არ ხდება ყოველწლიურად ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის სესხების ამოღების ალბათობის შეფასება.

შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგების ფორმა N1-ში „სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივების“ ანგარიშზე რიცხული 92,124,220 ლარისა და 98,881,700 ლარის, ასევე „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების და მოთხოვნების“ ანგარიშზე რიცხული 6,262,360 ლარისა და 9,754,815 ლარის ნაშთის სისრულეზე.

1.1.2 საგარეო ვალი და გადასესხებული სესხები

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით,⁹ სამინისტროს აქვს განსაკუთრებული უფლება, საქართველოს მთავრობის თანხმობით, საქართველოს ეროვნულ ბანკთან კონსულტაციით, დადოს ხელშეკრულებები ეროვნული და სხვა კონვერტირებადი ვალუტით ფულადი სახსრების ვალად აღების შესახებ.

⁶ „სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხების რეესტრის წარმოების წესისა და რეესტრის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 18 ივნისის N180 ბრძანება.

⁷ „საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურირების შესახებ“ საქართველოს კანონის და „რესტრუქტურირებული ვალდებულებების ერთიანი რეესტრის წარმოების წესისა და რეესტრის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 24 დეკემბრის N382 ბრძანება.

⁸ აქტივი – რესურსი, რომელსაც ერთეული აკონტროლებს წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და საიდანაც მოელის ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღებას.

⁹ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის პუნქტი 2.

2018 წლის 1 იანვრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს მიერ საქართველოს სახელით აღებული საგარეო ვალის ნაშთმა შეადგინა, შესაბამისად, 13,110,398,753 ლარი და 14,015,349,860 ლარი.

2018 წელს სამინისტროს საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელების კოდიდან (56 00) ზემოთ აღნიშნულ საგარეო სესხებზე გადახდილი აქვს 977,913,977 ლარი, საიდანაც 709,970,299 ლარი წარმოადგენს ძირითადი თანხის დაფარვას, ხოლო 267,943,678 ლარი¹⁰ გადახდილ პროცენტს, კომპენსაციას და პირგასამტეხლოს.

აღებული საგარეო ვალიდან სამინისტროსა და სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებს შორის გაფორმებულია გადასესხების ხელშეკრულებები, რომელთა მიხედვით, სამინისტრო უზრუნველყოფს ორგანიზაციებზე საგარეო საკრედიტო რესურსებიდან მოზიდული ფინანსური სახსრების გასესხებას, და კონტროლს და მონიტორინგს უწევს თანხების დაბრუნებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ვებგვერდიდან: www.reportall.ge¹¹ მიღებული ინფორმაციის თანახმად, შერჩევით გადამოწმებული ორგანიზაციები გადასესხებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილ დავალიანებას აღიარებენ ფინანსთა სამინისტროს წინაშე.¹²

ჯამში გადასესხებული ხელშეკრულებების შედეგად სხვადასხვა ორგანიზაციების დავალიანებების ჯამურმა ნაშთმა სამინისტროს მიმართ 2018 წლის 1 იანვრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა, შესაბამისად, 2,249,023,667 ლარი და 2,380,544,737 ლარი.

2018 წელს მსესხებლებს ჯამში გადახდილი აქვთ 130,476,379 ლარი. აქედან, 89,020,641 ლარი წარმოადგენს დაფარულ ძირს, 41,455,108 ლარი კი – გადახდილ პროცენტს, კომპენსაციას და პირგასამტეხლოს.¹³

გარე წყაროებიდან მიღებული სახსრები აკმაყოფილებენ ვალდებულებად, ხოლო გადასესხებული სესხები – აქტივებად აღიარების კრიტერიუმებს.¹⁴

შედეგად, სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ფორმა N1-ში 2018 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური ვალდებულებები, შესაბამისად, 13,110,398,753 ლარით და 14,015,349,860 ლარით ნაკლებად არის წარმოდგენილი, ხოლო ფორმა N2-ში ხარჯი, 267,943,678 ლარით შემცირებულად არის ნაჩვენები.

აგრეთვე ფინანსური აქტივები ფორმა N1-ში 2018 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, 2,249,023,667 ლარით და 2,380,544,737 ლარით, ხოლო ფორმა N2-ში შემოსავალი – 41,455,108 ლარით ნაკლებია ასახული.

1.1.3 საშინაო ვალი

სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის¹⁵ მიხედვით, უშვებს სახაზინო ვალდებულებებს და სახაზინო ობლიგაციებს, რომლებიც სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული არ არის. ქვემოთ

¹⁰ საპროცენტო ხარჯი – 259,718,954 ლარი, კომპენსაცია და პირგასამტეხლო – 8,224,724 ლარი.

¹¹ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ შექმნილი ანგარიშგების პორტალი, რომელიც საქართველოში არსებული ორგანიზაციების ფინანსურ და მმართველობით ანგარიშგებებს მოიცავს.

¹² მაგალითად: შპს „მყარი ნარჩენებისა და მართვის კომპანია“, შპს „საქართველოს მელიორაცია“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“, შპს „ენგურჰესი“, შპს „ენერგოტრანსი“, შპს „საქაერონავიგაცია“ და სხვ.

¹³ საპროცენტო სარგებელი – 33,791,791 ლარი, კომპენსაცია – 3,113,130, ხოლო 4,550,187 ლარი – პირგასამტეხლო.

¹⁴ ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის მუხლი 3, ტერმინთა განმარტებები.

¹⁵ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 14 და „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანება N10/01 – N51, 2010 წლის 1 თებერვალი.

მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების ნაშთების შესახებ (ათას ლარებში):

თარიღი	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	სულ
01.01.2018	705,000	2,193,268	2,898,268
31.12.2018	600,000	2,665,868	3,265,868

2018 წელს სამინისტროს სახაზინო ვალდებულებებსა და სახაზინო ობლიგაციებზე პროცენტის სახით გადახდილი აქვს 244,334,266 ლარი.

ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით, აღნიშნული ნაშთები აკმაყოფილებს ვალდებულებად აღიარების კრიტერიუმებს,¹⁶ რადგან სამინისტრო უშვებს სახაზინო ვალდებულებებს, სახაზინო ობლიგაციებს, და ფარავს დავალიანებებს (ძირი, პროცენტი).¹⁷

შედეგად, სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსური ვალდებულებების ნაშთი ფორმა N1-ში 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, 2,898,268,000 ლარის და 3,265,868,000 ლარის ოდენობით შემცირებულად არის წარმოდგენილი. ხოლო ფორმა N2-ში „საპროცენტო ხარჯი“ შემცირებულია 244,334,266 ლარით.

1.1.4 მომსახურების გაწევიდან წარმოქმნილი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

სამინისტროს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოს მთავრობის N96 დადგენილების¹⁸ მიხედვით, გაწეული ან გასაწევი მომსახურებებიდან წარმოქმნილი დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები, შესაბამისად, 14,293,829 ლარის და 16,873,223 ლარის ოდენობით.

შემოსავლების სამსახური საკუთარ შემოსავლებს აღრიცხავს გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემით (Oracle). სამინისტროს ახსნა-განმარტებითი შენიშვნების თანახმად, წინა საანგარიშგებო პერიოდებში ზემოაღნიშნული პროგრამა არ იყო გამართული და დებიტორულ/კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვა ხორციელდებოდა ხარვეზებით, რომელთა გასწორება დაგეგმილია 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.¹⁹

შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში „სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივების“ ანგარიშზე ასახული 14,293,829 ლარის და „სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების“ ანგარიშზე აღრიცხული 16,873,223 ლარის ნაშთის არსებობაზე, სისრულესა და სისწორეზე.

¹⁶ ვალდებულება – წარსული ეკონომიკური მოვლენის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულება, რომლის დაფარვა გამოიწვევს ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალში განივებული რესურსების გადინებას ერთეულიდან.

¹⁷ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 1 თებერვლის ბრძანება N10/1 „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, მუხლი 9, პუნქტი 6.

¹⁸ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის N96 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“.

¹⁹ წინა საანგარიშგებო პერიოდებში, სისტემის გაუმართაობის გამო, ვერ ხდებოდა დარიცხული შემოსავლების და გადახდების, მათ შორის, მესამე პირის მიერ განხორციელებული გადახდების ერთმანეთთან დაკავშირება.

1.1.5 მომსახურების სააგენტოს 100%-იანი წილის ღირებულება

მომსახურების სააგენტო ფლობს 100%-იან წილს შპს „რეგიონული განვითარების ფონდში“. წილის ღირებულება შეადგენს 25,429,310 აშშ დოლარს, ფინანსურ ანგარიშგებაში წილი კი აღრიცხულია 22,129,480 აშშ დოლარით.

შედეგად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში „სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლი შემცირებულია 8,832,324 ლარით.²⁰

1.1.6 სასამართლო დავები

სასამართლოს 2018 წლის გადაწყვეტილებებით, სხვადასხვა ორგანიზაციას სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა 2,970,454 ლარის გადახდა, რომელიც სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული არ არის. ასევე აღრიცხული არ არის ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდგომ, შემოსავლების სამსახურის სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება 380,287 ლარის²¹ ოდენობის შესახებ, რომელიც წარმოადგენს მაკორექტირებელ მოვლენას, რადგან იძლევა ინფორმაციას ანგარიშგების თარიღამდე არსებულ მოვლენებზე და შესაბამისად, ექვემდებარება 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას.

სამინისტროში არ არის ჩამოყალიბებული სააღრიცხვო პოლიტიკა მოთხოვნების, პირობითი აქტივების და პირობითი ვალდებულებების შესახებ. არ არის გაწერილი პოლიტიკა სასამართლო დავებთან დაკავშირებით, როგორ უნდა მოხდეს მოთხოვნების ან ვალდებულებების აღიარება, არ არის დადგენილი იურიდიულ სამსახურთან კომუნიკაციის წესი და პირობები, არ ხდება სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგების შეფასება და შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა.

შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ის – „სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივების“ სისრულის შესახებ.

1.1.7 ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ფინანსურ ანგარიშგებაში 2018 წლის 1 იანვრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ და „გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები ანგარიშზე“ აღრიცხულია არაფინანსური აქტივების რეალიზაციის²² შედეგად, 3 (სამი) სამინისტროს მიმართ წარმოშობილი მოთხოვნები:

დასახელება	01.01.2018	31.12.2018
ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო	2,396,943	2,396,943
იუსტიციის სამინისტრო	5,222,455	3,492,455
შინაგან საქმეთა სამინისტრო	8,818,982	8,818,982

აღნიშნული მოთხოვნებიდან იუსტიციის სამინისტროს მიმართ არსებული მოთხოვნა – 3,492,455 ლარის ოდენობით, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი ფინანსური აქტივი.

გაფორმებული ხელშეკრულებების და მასში შეტანილი ცვლილებების შესწავლით გაირკვა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ არსებული

²⁰ 3,299,830 აშშ დოლარი, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეროვნული ბანკის ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსი – 1\$=2.6766 ₾

²¹ 138,036 ლარი აღნიშნული მოთხოვნებიდან წარმოადგენს „სხვა მოკლევადიან მოთხოვნებს“, ხოლო 242,251 ლარი წარმოადგენს „სხვა მოკლევადიან ფინანსურ აქტივებს“.

²² Microsoft-ის ლიცენზიები.

მოთხოვნა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით – 6,418,922 ლარი, ხოლო 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – 3,538,982 ლარი, ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის²³ შესაბამისად, არის გრძელვადიანი, ხოლო იუსტიციის სამინისტროს მიმართ არსებული მოთხოვნა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არის მოკლევადიანი.

შედეგად, სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შემცირებულია „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების და მოთხოვნების“ ნაშთი 6,418,922 ლარით და გაზრდილია „სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივების“ ანგარიში, ხოლო 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების და მოთხოვნების“ ნაშთი შემცირებულია 46,527 ლარით და იმავე თანხით გაზრდილია „სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივების“ ანგარიში.

1.2 მოკლევადიანი მოთხოვნები

1.2.1 საგადასახადო აქტივები

სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხულია შემოსავლების სამსახურის მოთხოვნები ზედმეტად გადახდილი მოგების და ქონების გადასახადებიდან თანხებით – 7,599,222 ლარი და 1,675,700 ლარი, ასევე მომსახურების სააგენტოს მოთხოვნები ზედმეტად გადახდილი მოგების გადასახადის შედეგად 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით – 55,318 ლარი და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – 179,291 ლარი.

სამინისტროს სტრუქტურაში არ არის დანერგილი ერთგვაროვანი პრაქტიკა მოგების და ქონების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით. შემოსავლების სამსახურსა და მომსახურების სააგენტოში არ არის აღრიცხული დეკლარირებული 2018 წლის მოგების გადასახადი (შესაბამისად, თანხებით – 5,999,443 ლარი და 21,531 ლარი), მაშინ როდესაც, ანალიტიკურ სამსახურში დეკლარირებული 2018 წლის მოგების გადასახადი ასახულია „წმინდა ღირებულების“ ანგარიშზე. მომსახურების სააგენტოში 2018 წელს აღრიცხულია 2017 წლის მოგების გადასახადის ნაწილი (103,581 ლარი). ასევე შემოსავლების სამსახურში არ არის აღრიცხული 2018 წლის ქონების გადასახადის ხარჯი (თანხით – 1,814,598 ლარი), მაშინ როდესაც, მომსახურების სააგენტოსა და ანალიტიკურ სამსახურში აღნიშნული ხარჯი აღიარებულია.

მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის²⁴ მიხედვით, მოგების და ქონების გადასახადების დეკლარირება წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდგომ მაკორექტირებელ მოვლენებს, შესაბამისად, დეკლარირებული გადასახადები უნდა მიეკუთვნოს შესაბამის პერიოდს.

შედეგად, სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში „სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების“ ანგარიში 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შემცირებულია 103,581 ლარით და ამავე თანხით გაზრდილია „წმინდა ღირებულების“ ანგარიში, ხოლო 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფორმა N1-ში „სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივების“ ნაშთი გაზრდილია 7,696,673 ლარით, ხოლო „სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები“ შემცირებულია 138,898 ლარით.

²³ მუხლი 3, ტერმინთა განმარტებები.

²⁴ სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები, მუხლი 11, განმარტებები.

1.2.2 ნივთმტკიცებად ამოღებული თანხების აღრიცხვა

საგამოძიებო სამსახურის ფინანსურ ანგარიშგებაში „საქონელი და მომსახურების“ ანგარიშზე ხარჯად აღიარებულია სასამართლოში, საგამოძიებო სამსახურის მიერ ნივთმტკიცებად წარდგენილი თანხა, რაც არ შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებს.²⁵ ნაცვლად ხარჯად აღიარებისა, საგამოძიებო სამსახურს ნივთმტკიცებად ამოღებული თანხებით უნდა გაეზარდა „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ ანგარიში. საგამოძიებო სამსახურმა ვერ წარმოადგინა ინფორმაცია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასამართლოს მიერ ნივთმტკიცებად ამოღებული თანხის შესახებ. მხოლოდ 2018 წელს, სასამართლოდან გასულ პერიოდებში ნივთმტკიცებად ამოღებული და საგამოძიებო სამსახურისთვის უკან დაბრუნებულმა თანხამ შეადგინა 177,350 ლარი.

შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში ფორმა N1-ში „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ ანგარიშზე აღრიცხული თანხის – 12,649,995 ლარის სისრულესა და სისწორეზე.

1.2.3 დანაკლისები

სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში ერიცხება 486,615 ლარის დანაკლისი. საიდანაც 341,440 ლარის²⁶ დანაკლისი წარმოქმნილია შემოსავლების სამსახურში, ხოლო 84,489 ლარის დანაკლისი – სამინისტროს აპარატში. ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ინვენტარიზაციის ჩატარების წესის²⁷ და ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის შესაბამისად, ორგანიზაციები ვალდებული არიან შეაფასონ ყოველი წლის ბოლოს მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალობა და ამოღების ალბათობა, რაც შემოსავლების სამსახურის შემთხვევაში, განხორციელებული არ არის, ხოლო აპარატის შემთხვევაში განხორციელებულია ნაწილობრივ.²⁸

ასევე დანაკლისების ანგარიშზე აღრიცხული მთლიანი თანხიდან, 225,638 ლარის²⁹ დანაკლისი წარმოქმნილია 2008 წლის საომარი მოქმედებების შედეგად. აღნიშნულ დანაკლისების ამოღების ალბათობა დაბალია, რადგან დაუდგენელია დამნაშავე პირები და სამართალდამცავ უწყებებში საქმე აღძრული არ არის.

შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ფორმა N1-ში „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ ანგარიშზე აღრიცხული თანხის – 440,922 ლარის არსებობაზე.

1.3 სხვა მატერიალური მარაგები

1.3.1 მიქცეული და განსაკარგავად გადმოცემული ქონება

მომსახურების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღრიცხული მიქცეული და განსაკარგავად გადმოცემული ქონება. სააგენტოსათვის გადმოცემული ქონება აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს,

²⁵ მუხლი 17, პირველი პუნქტის „3.ვ“ ქვეპუნქტი.

²⁶ გარდა საომარი მოქმედებების შედეგად წარმოშობილი დანაკლისებისა (174,828 ლარი), 166,612 ლარის ღირებულების ფასეულობათა დანაკლისებზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები.

²⁷ „ფინანსური აქტივების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია“, მუხლი 11, პუნქტი 6.

²⁸ შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოპოვებულია ინფორმაცია 45,693 ლარის აქტივების დანაკლისზე, მიმდინარე გამოძიების შესახებ.

²⁹ სხვა მანქანა-დანადგარები, ინვენტარი და სატრანსპორტო საშუალებები.

სააგენტოს გააჩნია კონტროლი აღნიშნულ მარაგებზე და იღებს სარგებელს მათი რეალიზაციის შედეგად.³⁰

შედეგად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში „სხვა მატერიალური მარაგების“ ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია, შესაბამისად, 4,263,394 ლარით და 6,106,766 ლარით შემცირებულად. ასევე აღნიშნული თარიღებით მომსახურების სააგენტოს ნაშთად ერიცხება შეუფასებელი/ნულოვანი ღირებულების მქონე 22,889 და 36,469 სხვადასხვა დასახელების საქონელი.³¹

1.3.2 აქციზური მარკების აღრიცხვა და ჩამოწრა

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „სხვა მატერიალური მარაგების“ 3,924,028 ლარის ნაშთიდან, 1,534,250 ლარის მარაგებს წარმოადგენს აქციზური მარკები. აქედან, 1,187,376 ლარის ღირებულების მარკები შეძენილია/გადმოცემულია 2006-2010 წლებში, ხოლო 346,874 ლარის ღირებულებისა, შეძენილია 2011 წელს.

2006-2010 წლებში შესყიდული/გადმოცემული 1,187,376 ლარის აქციზურ მარკებზე ვერ იქნა წარმოდგენილი პირველადი დოკუმენტაცია, რაც დაგვარწმუნებდა მარაგების ნაშთის ღირებულების სისწორეში, შემოსავლების სამსახურის განმარტებით, დოკუმენტები ხანდაზმულობის გამო განადგურებულია. არც სააღრიცხვო პოლიტიკითაა განსაზღვრული მატერიალური მარაგების თვითღირებულების გაანგარიშების მეთოდი.³² შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა მატერიალური მარაგების“ ანგარიშზე ასახული 1,187,376 ლარის ღირებულების მარაგების სისწორეზე, შეფასებასა და მიკუთვნებაზე.

1.4 გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები

ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით, აღრიცხვის ორგანიზებასა და მოვლა-შენახვაზე კონტროლის უზრუნველსაყოფად, ძირითად აქტივებს, გრძელვადიან მცირეფასიან აქტივებსა და ფასეულობებს მიღებისას ენიჭებათ საინვენტარო ნომრები, რომლებიც რჩებათ მოცემულ აქტივებს ორგანიზაციაში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.³³

სამინისტროს აპარატში ასევე შემუშავებულია შიდა ინსტრუქცია გრძელვადიან მცირეფასიანი აქტივების აღრიცხვასთან დაკავშირებით, რომლითაც ასევე განსაზღვრულია გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების საინვენტარო ნომრების მინიჭების საკითხი.³⁴

საგამომიებო და შემოსავლების სამსახურის ინვენტარიზაციის მასალების შესწავლით გამოვლინდა, რომ როგორც საწყობში არსებულ, ისე ექსპლუატაციაში გადაცემულ გრძელვადიან მცირეფასიან აქტივებს, მთლიანი ღირებულებით – 8,395,560 ლარი,³⁵ არ აქვთ მინიჭებული საინვენტარიზაციო ნომრები. ორივე სამსახურს, სპეციფიკიდან გამომდინარე, ერიცხება 6,407,899 ლარის ღირებულების რბილი ინვენტარი და უნიფორმები,³⁶ რომლებზეც

³⁰ ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

³¹ სასმელები, საიუველირო ნაკეთობები, საოჯახო ტექნიკა და ინვენტარი, სატრანსპორტო საშუალებები და ა.შ.

³² ინდივიდუალურად გაწეული დანახარჯების მიხედვით შეფასების მეთოდი, ფიფო (FIFO) მეთოდი – პირველი შემოსული პირველი გადის, საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

³³ „არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვა“, მუხლი 145, პუნქტი 3.

³⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N324 ბრძანება „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბალანსის საცნობარო (10) მუხლში გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების აღრიცხვის შესახებ“.

³⁵ მათ შორის: საგამომიებო სამსახური – 739,694 ლარი და შემოსავლების სამსახური – 7,655,866 ლარი.

³⁶ მათ შორის, შემოსავლების სამსახური – 6,260,819 ლარი და საგამომიებო სამსახური – 147,080 ლარი.

საინვენტარო ნომრების მინიჭება და ინვენტარიზაციის შედეგებში ასახვა სრულყოფილად ვერ ხორციელდება.

ასევე საგამოძიებო სამსახურში ჩატარებული 2017 წლის ფინანსური აუდიტის ფარგლებში გაცემული იყო რეკომენდაცია სპეციფიკურ აქტივებთან დაკავშირებით საინვენტარიზაციო ნომრების მინიჭების საკითხზე, რომელიც 2018 წლის ჩატარებული ინვენტარიზაციისას არ არის შესრულებელი.

შემოსავლების სამსახურს 2014 წლიდან უცვლელად ერიცხება ასევე 265,888 ლარის ღირებულების სხვადასხვა სამსახურებრივი უნიფორმები, რომელთა შემდგომი გამოყენების და სარგებლის მიღების ალბათობა დაბალია.

შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში 785,756 ლარის ღირებულების „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ და დანართი N1-ში 7,609,804 ლარის ღირებულების ექსპლუატაციაში მყოფ ხარჯებში ჩამოწერილი „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ არსებობის შესახებ.

1.5 ძირითადი აქტივები

1.5.1 არამატერიალური აქტივები

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღრიცხული საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის მიერ შექმნილი საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემები და ვებგვერდები, რომლებსაც სამინისტრო იყენებს და სარგებლობს დანიშნულებისამებრ. ასევე სამინისტროში არ არის შემუშავებული, შიდა წარმოების არამატერიალურ აქტივებზე, ხარჯების კაპიტალიზების სააღრიცხვო პოლიტიკა. შესაბამისად, უცნობია მათი რეალური ან საბალანსო ღირებულება. მაგალითად, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ნაჩვენები ისეთი მნიშვნელოვანი სისტემები, როგორიცაა: eBudget – ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა, eTreasury – სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა, eHRMS – ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა და ა.შ.

ყველა ზემოაღნიშნულ აქტივს სამინისტრო საკუთარი მიზნების მისაღწევად და ფუნქციების შესასრულებლად იყენებს, თუმცა ნაერთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღიარებული არამატერიალურ ძირითად აქტივებად.

შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „ძირითადი აქტივების“ მუხლში აღრიცხული არამატერიალური აქტივების 9,510,790 ლარის ნაშთის სისრულის შესახებ.

1.5.2 დაზიანებული სკანერი

შემოსავლების სამსახურის ბალანსზე ირიცხება, 1,394,223 ლარის ღირებულების, ყაზბეგში განთავსებული რენტგენოსკანერი, რომელიც დაზიანებულია და არ ფუნქციონირებს წინა საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად.

აღნიშნული აქტივის შემდგომი გამოყენების ალბათობა, სარგებლის მიღება და შეკეთების შესაძლებლობა მცირეა, რადგან სამსახურის განმარტებით, დაკავშირებულია მნიშვნელოვან დანახარჯებთან და ხარჯსარგებლიანობის ანალიზიდან გამომდინარე, მიზანშეუწონელია.

დაზიანებული აქტივის შესახებ ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

შედეგად, სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგების ფორმა N1-ში „ძირითადი აქტივების“ მუხლი გაზრდილია 1,394,223 ლარით.

1.6 სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები

1.6.1 სახელფასო დავალიანებები

შემოსავლების სამსახურის ფინანსურ ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების“ ანგარიშზე აღრიცხულია 2008 წლამდე წარმოქმნილი სახელფასო ვალდებულებები 4,698,401 ლარის ოდენობით: მათ შორის, ხელზე გასაცემი ხელფასი – 2,726,042 ლარი, საშემოსავლო გადასახადი – 592,659 ლარი და სოციალური გადასახადი – 1,379,700 ლარი.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად,³⁷ 2008 წლის 1 იანვრამდე პერიოდში გაუცემელ ანაზღაურებებზე დარიცხული სოციალური გადასახადი იანგარიშება საანგარიშო პერიოდში გაცემული ანაზღაურების 20%-ის ოდენობით. აღნიშნულიდან გამომდინარე სოციალური გადასახადის მაქსიმალური ოდენობა შესაძლებელია განისაზღვროს 663,740 ლარის ოდენობით, ნაცვლად ბალანსში რიცხული 1,379,700 ლარისა.

შედეგად, ფორმა N1-ში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების“ მუხლი გაზრდილია 715,959 ლარით.

1.6.2 სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი

სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე აღსრულების ფონდიდან 2018 წლის განმავლობაში დაფარული 1,307,359 ლარის ოდენობის ვალდებულება. ფონდიდან ჩამოჭრილ თანხებზე ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ვინაიდან სამინისტრო სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სააღსრულებო ფურცლებში მოხსენიებულია როგორც მოვალე, აღნიშნულ საბიუჯეტო კოდს³⁸ განკარგავს სამინისტრო და ზოგიერთ შემთხვევაში სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტი მონაწილეობს სასამართლო დავებში, როგორც მხარე. ამიტომ ზემოთ აღნიშნული თანხით უნდა გაზრდილიყო ფორმა N2-ში სამინისტროს შემოსავლები და ხარჯები.

შედეგად, სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ფორმა N2 1,307,359 ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი როგორც შემოსავალი, ასევე – ხარჯი.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამინისტროში არ არის შემუშავებული აღნიშნული თანხების სააღრიცხვო პოლიტიკა, სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისად არ ხდება ვალდებულებების შეფასება და აღიარება.

შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ფორმა N1-ში 24,913,163 ლარის „სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების“ ნაშთის სისრულის შესახებ.

1.7 პირობითი ვალდებულებები

სამინისტროსა და აღორძინების საკრედიტო დაწესებულებას (KfW) შორის 1994 წლის 2 დეკემბერს გაფორმებულია საგარანტიო ხელშეკრულება, აღორძინების

³⁷ „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 38-ე მუხლის მე-8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

³⁸ საბიუჯეტო კოდი: 56 07.

საკრედიტო დაწესებულებას (KFW) და „ექსიმბანკს“³⁹ (მსესხებელი) შორის დადებულ სასესხო ხელშეკრულებასთან⁴⁰ დაკავშირებით.

საგარანტიო ხელშეკრულების მიხედვით, სამინისტრომ აიღო ვალდებულება მსესხებლის მიერ სესხის გადაუხდელობის შემთხვევაში თანხის გადახდასთან დაკავშირებით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული სესხის ოდენობა შეადგენს 4,968,000 ლარს.

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღრიცხული ზემოთ ნახსენები თანხა, რაც არ შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებს,⁴¹ რომლის მიხედვით, გაცემული გარანტია აკმაყოფილებს პირობით ვალდებულებებად აღიარების კრიტერიუმებს.

შედეგად, სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დანართ N1-ში „პირობითი ვალდებულებების“ ანგარიში 4,968,000 ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი.

აუდიტი წარვმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი ანგარიშის ნაწილში სახელწოდებით – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. ჩვენ ვართ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად

³⁹ „ექსიმბანკის“ სამართალმემკვიდრე – სააქციო საზოგადოება „გაერთიანებული ქართული ბანკი“, შემდგომში – სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.

⁴⁰ სესხის თანხა – 7,000,000 გერმანული მარკა, 3,579,043 ევრო.

⁴¹ ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები. მუხლი 123, განმარტებები, „ზ“ პუნქტი.

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

სამინისტროს ახსნა-განმარტებითი შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის 52-ე მუხლის შესაბამისად დადგენილი ინფორმაცია, რომელიც ეხება უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, არ არის განმარტებული ინფორმაცია გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის და სააღრიცხვო შეფასებების შესახებ, რომელიც ეხება მოთხოვნების, ვალდებულებების, პირობითი აქტივების და პირობით ვალდებულებებს, მატერიალური მარაგების და ძირითადი აქტივების აღრიცხვის მეთოდებს, მათ შორის, მარაგების ჩამოწერის და აქციზური მარკების აღრიცხვის საკითხს, გამოყენებულ ძირითად ნორმატიულ აქტებს და ა.შ.

ასევე არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების შესახებ, რომელიც მნიშვნელოვანი საკითხია სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის, რადგან სამინისტროს დებულების⁴² მიხედვით სამინისტროს აპარატი უზრუნველყოფს საქვეუწყებო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვას, კაპიტალურ მშენებლობებს, სახელმწიფო შესყიდვების და სარემონტო-სამუშაოთა დაგეგმვა-წარმოებას, დაგეგმვა-წარმოებას, ბიუჯეტის პროექტის შემუშავებას და საბიუჯეტო დეპარტამენტში წარდგენას და ა.შ., რაც წინააღმდეგობაში მოდის მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებთან.⁴³

2.2 სააღრიცხვო პოლიტიკა

2.2.1 საწვავის ხარჯები

სამინისტროს აპარატსა და შემოსავლების სამსახურში არაერთგვაროვანი პრაქტიკა აქვთ საწვავის ხარჯის ჩამოწერასთან დაკავშირებით. სამინისტროს აპარატში 2018 წლის ხარჯად აღიარებულია 2017 წლის დეკემბრის თვის ხარჯი, ხოლო 2018 წლის დეკემბრის ხარჯი ასახულია 2019 წელს. შემოსავლების სამსახურში 2018 წლის ხარჯად აღრიცხულია 13 თვის განმავლობაში პლასტიკური ბარათებით გახარჯული საწვავი. 2018 წლის იანვარში ხარჯად აღიარებულია 2017 წლის დეკემბრის ხარჯი – 157,455 ლარის ოდენობით, ხოლო დეკემბერში – 2018 წლის ნოემბრისა და დეკემბრის ხარჯები.

აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებთან.⁴⁴

2.2.2 მარაგების ჩამოწერა

ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით, მატერიალური მარაგების საკუთარი მოხმარებისთვის გამოყენება აისახება საქონლისა და მომსახურების ანგარიშის დებეტსა და მატერიალური მარაგების შესაბამისი ანგარიშების კრედიტში – ექსპლუატაციაში გადაცემის დროს.

სამინისტროში არ არის ჩამოყალიბებული მატერიალური მარაგების ჩამოწერასთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკა. შემოსავლების სამსახურში მატერიალური მარაგების საწყობიდან გასვლის და სხვადასხვა ობიექტზე მარაგების გადაცემისას ჩამოიწერება პირდაპირ ხარჯებში და არ

⁴² საქართველოს მთავრობის N168 დადგენილება „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

⁴³ მუხლი 41, განმარტებითი შენიშვნები, მუხლი 52. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების, უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის და კონტროლის შესახებ განმარტებითი შენიშვნები

⁴⁴ მუხლი 17, პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

ხდება მათი გადაცემა და აღრიცხვა ანგარიშვალდებულ პირებზე. მაგალითად, 2018 წელს შემოსავლების სამსახურის საწყობიდან საბაჟო დეპარტამენტის კინოლოგიის სამმართველოზე გაცემული იყო ძაღლის საკვები და კომბინირებული ინსექტოკარიციდები, შესაბამისად, 13,224 კგ და 842 ცალი, სულ ჯამში: 125,755 ლარის ოდენობით, რაც საწყობიდან გაცემისთანავე ჩამოწერილია ხარჯებში. ანალოგიური სახით ხარჯებშია ჩამოწერილი საბაჟო გამშვებ პუნქტებზე გაცემული სხვადასხვა სახის მარაგები.⁴⁵

2.3 შეცდომის გასწორება

საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის მიერ მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში ხარჯად აღიარებულია წინა წლებში ექსპლუატაციაში გადაცემული 60,017 ლარის ღირებულების მცირეფასიანი აქტივები. ზემოთ აღნიშნული შეუსაბამოა ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებთან.⁴⁶ აღნიშნული თანხებით, 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, ნაცვლად მიმდინარე ხარჯების ანგარიშის ზრდისა, უნდა შემცირებულიყო კაპიტალის ანგარიშის საწყისი ნაშთი.

2.4 შემოსავლები

მომსახურების სააგენტოს ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში შემოსავლად აღიარებულია დაინტერესებული პირებისთვის საიტის მომსახურებიდან⁴⁷ მიღებული შემოსავალი, სულ 985,068 ლარის ოდენობით. ორ კომპანიასთან დაკავშირებული 2018 წლის დეკემბრის შემოსავლები მომსახურების სააგენტოში აღრიცხულია 2019 წლის იანვარში, ხოლო ერთ ორგანიზაციასთან დაკავშირებით დაშვებული იყო პროგრამული ხარვეზი. სულ 2018 წელს აღურიცხავია 27,611 ლარის ოდენობის დარიცხული შემოსავალი.

შემოსავლების სამსახურის ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში შემოსავლად არ არის აღიარებული დეკემბრის საპროცენტო შემოსავალი – 76,375 ლარის ოდენობით.

ყოველივე ზემოაღნიშნული წინააღმდეგობაშია ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებთან,⁴⁸ რომლის მიხედვით, შემოსავლების და ხარჯების მიკუთვნება უნდა მოხდეს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოვლენა მოხდა.

შემოსავლების სამსახური სხვადასხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირს უწევს პირადი საგადასახადო მრჩეველის მომსახურებას. მომსახურება საქართველოს მთავრობის N96 დადგენილების⁴⁹ მიხედვით, არის ერთწლიანი. აღნიშნულ მომსახურებებზე გადახდილი თანხები, გადახდისთანავე აღიარებულია 2018 წლის შემოსავლად და არ არის დროში გამიჯნული, რაც არ შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებს.⁵⁰

2.5 ძირითადი აქტივები

2.5.1 შენობა-ნაგებობები

შემოსავლების სამსახურის ფინანსურ ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შენობა-ნაგებობებზე ირიცხება 23,063 ლარის ღირებულების შენობა-ნაგებობები, რომლებზეც სამსახურმა ვერ წარმოადგინა საკუთრების ან

⁴⁵ ლუქები – 600,500 ცალი, თანხით – 405,736 ლარი და დიზელის საწვავი ცისტერნებით – 266,050 ლიტრი, თანხით – 496,955 ლარი.

⁴⁶ მუხლი 14, შეცდომების გასწორება, პუნქტი 11.

⁴⁷ www.eauction.ge

⁴⁸ მუხლი 9, სააღრიცხვო სისტემა, პუნქტი 11.

⁴⁹ საქართველოს მთავრობის დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“.

⁵⁰ მუხლი 17, განმარტებები, 1-ლი მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი.

სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღნიშნული შენობა-ნაგებობების ბალანსიდან მოხსნა იგეგმება 2019 წელს.

სამსახურის „არასაცხოვრებელი შენობების“ მუხლში ირიცხება ნინოწმინდის საბაჟოს დაუმთავრებელი მშენებლობა 8,380,530 ლარის ღირებულების, რომელიც არ არის მიღებული ექსპლუატაციაში, ორგანიზაცია სარგებელს ვერ იღებს შენობიდან, ვერ იყენებს დანიშნულებისამებრ და ასევე შენობის დასასრულებლად საანგარიშგებო პერიოდში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები,⁵¹ რაც არ შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებს.⁵² აქტივი ექვემდებარება „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივად“ რეკლასიფიკაციას.

შენობა-ნაგებობების ანგარიშზე მიკუთვნებულია წინა საანგარიშგებო პერიოდებში შესყიდული ისეთი აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენენ შენობა-ნაგებობების განუყოფელ ნაწილს, მაგალითად, დიზელ-გენერატორები, ტრანსფორმატორები, ფანკოილები და ა.შ., სულ 1,393,906 ლარის ღირებულების მანქანა-დანადგარები.

აღნიშნული არ შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებს⁵³ და აქტივები ექვემდებარება „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ ანგარიშზე აღრიცხვას.

აღნიშნული საკითხი ნახსენებია, ზემოთ მითითებული საკითხის შესახებ აღნიშნულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ შემოსავლების სამსახურის 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშსა და 2016 წელს სამინისტროს შიდა აუდიტის სსიპ – შემოსავლების სამსახურის ძირითადი აქტივების შექმნის/შემდენის, შენახვის, აღრიცხვისა და მართვის ოპერაციების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში. გაცემულია რეკომენდაციები აქტივების აღრიცხვასთან დაკავშირებით, მაგრამ რეკომენდაციები შესრულებული არ არის.

2.5.2 ძირითადი აქტივების არსებობა

სამინისტროს აპარატის ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში ირიცხება 129,452 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივი⁵⁴ და საცნობარო მუხლში 19,018 ლარის ღირებულების (ისტორიული ღირებულება) ამორტიზებული ძირითადი აქტივები ექსპლუატაციაში. აღნიშნული აქტივები სამინისტროს განმარტებით, განთავსებულია დალუქულ სეიფებში, რომელთა გახსნა ვერ მოხერხდა და შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა აქტივების ფიზიკური დათვალიერება ვერ მოახერხა.

2.5.3 ცვეთა

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საგამომიგებო სამსახურის ფინანსურ ანგარიშგებაში რიცხულ 1,486,597 ლარის ოდენობის ძირითად აქტივებზე⁵⁵ არ არის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადები, ცვეთის ნორმები და შესაბამისად, არ არის დარიცხული ცვეთა. სამინისტროს აპარატის ბალანსზე ირიცხება 141,905 ლარის ძირითადი აქტივი, რომელზეც ცვეთა დარიცხული არ არის.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული შეუსაბამოა „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ

⁵¹ NAT180008368 - 3,590,000 ლარის ღირებულებით.

⁵² მუხლი 142, არაფინანსური აქტივების არსი, კლასიფიკაცია და ანგარიშთა გეგმა, მე-7 პუნქტი.

⁵³ მუხლი 144, არაფინანსური აქტივების სააღრიცხვო პოლიტიკა, მე-11 პუნქტი.

⁵⁴ დამღები, დამღის დასაშვადებელი მოწყობილობები და ა.შ.

⁵⁵ „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“.

აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებასთან.⁵⁶

2.6 მოთხოვნები რომელთა ამოღების აღბათობა დაბალია

სამინისტროს აპარატს 2012 წლიდან უცვლელად ერიცხება მოთხოვნები AGM Aerospace Marketing Services Ltd-ს მიმართ, 151,719 ლარის ოდენობით, საიდანაც 98,150 ლარი მოუწოდებელი საქონლის, ხოლო 53,769 ლარი დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობაა. იუსტიციის სამინისტროსა და სამინისტროს კორესპონდენციიდან ირკვევა, რომ იუსტიციის სამინისტროს პოზიციით, დოკუმენტაციის იურიდიული გაუმართაობის გამო, დავის წამოწყება აღნიშნული დავალიანების ამოღების მიზნით არ არის მიზანშეწონილი.

2.7 სტრატეგიული მარაგები

საგამომიებო სამსახურის ბუღალტრულ ჩანაწერებსა და 2018 წელს ჩატარებულ ინვენტარიზაციის უწყისშიც რაოდენობრივად ფიქსირდება 360,704 ერთეული სტრატეგიული მარაგის ფაქტობრივი ნაშთი, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის თანხობრივად აღრიცხული.

2.8 კონსოლიდაციის პროცესი

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში არ არის ელიმინირებული სამინისტროს აპარატის მიერ საგამომიებო სამსახურისათვის გადაცემული 108,405 ლარის დაუმთავრებელი მშენებლობა და შემოსავლების სამსახურის და აპარატის საგრანტო შემოსავალი, რომელიც მიღებულია მომსახურების სააგენტოს მიერ არაფინანსური აქტივების გადმოცემით – 27,650 ლარის ღირებულებით, აღნიშნული აქტივების გადმოცემა მომსახურების სააგენტოს მიერ ხარჯად აღიარებული არ არის. ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით, შიდაჯგუფური ოპერაციები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ექვემდებარება გამორიცხვას.⁵⁷

⁵⁶ პირველი მუხლის მე-3 პუნქტი და მე-2 მუხლი.

⁵⁷ 39-ე მუხლის 30-ე პუნქტი.

3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი – უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში უნდა გაამყდონ ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:


- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;
- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე;

- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას;
- ვასკვნით, ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით - არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე;
- ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორების ხელმოწერა

გიორგი ჭოლოკავა
უფროსი აუდიტორი
პაპუნა ხოფერია
უფროსი აუდიტორი
ბესიკ ფერაძე
უფროსი აუდიტორი

ხელმოწერა

 23.10.2019წ
 23.10.2019წ.
 23.10.2019წ

ფინანსური ანგარიშგების ფორმები

ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)

დასახელება (ლარი)	31.12.2018	31.12.2017
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფულადი სახსრები	14,596,892	43,703,431
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	98,881,700	92,124,220
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	12,649,995	3,414,545
სხვა მატერიალური მარაგები	3,924,028	3,871,819
სულ მოკლევადიანი აქტივები	130,052,615	143,114,015
გრძელვადიანი აქტივები		
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	9,754,815	6,262,360
სტრატეგიული მარაგები	238,191	187,844
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	1,193,368	1,233,722
ძირითადი აქტივები	304,361,436	307,876,897
ფასეულობები	1,050	1,050
არაწარმოებული აქტივები	24,813,518	23,604,554
საინვესტიციო ქონება	671,783	678,955
სულ გრძელვადიანი აქტივები	341,034,161	339,845,382
ბალანსი	471,086,776	482,959,397
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები		
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	2,003,820	16,025,321
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	24,913,163	22,423,354
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	26,916,983	38,448,675
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	82,306	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	82,306	-
სულ ვალდებულებები	26,999,289	38,448,675
კაპიტალი		
აქტივების წმინდა ღირებულება	314,485,648	314,621,161
გაუნაწილებელი მოგება	129,601,839	129,889,561
დაუფარავი ზარალი	-	-
სულ კაპიტალი	444,087,486	444,510,722
ბალანსი	471,086,776	482,959,397

ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში

დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	2017 წელი
ბიუჯეტიდან დაფინანსება	76,380,450	-	76,380,450	80,745,230
შემოსავლები	1,910,681	108,291,739	110,202,420	106,701,143
გადასახადები	-	-	-	-
სოციალური შენატანები	-	-	-	-
გრანტები	1,823,741	-	1,823,741	4,499,872
სხვა შემოსავლები	86,940	108,291,739	108,378,679	102,201,271
ა) შემოსავლები საკუთრებიდან	-	2,008,744	2,008,744	5,203,103
ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	-	106,272,539	106,272,539	92,759,290
გ) სანქციები, ჯარიმები, საურავები	53,690	3,619	57,309	4,374
დ) ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა	-	-	-	3,116
ე) სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	33,250	6,837	40,087	4,231,388
სულ:	78,291,131	108,291,739	186,582,870	187,446,373
ხარჯები				
მომუშავეთა ანაზღაურება	49,358,136	54,344,577	103,702,713	96,186,007
საქონელი და მომსახურება	17,154,003	30,516,975	47,670,978	46,709,694
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	16,239,153	6,548,359	22,787,512	22,300,863
პროცენტი	-	-	-	-
სუბსიდიები	-	-	-	-
გრანტები	442,318	13,677,670	14,119,988	15,375,873
სოციალური უზრუნველყოფა	324,085	2,803,962	3,128,047	2,014,115
სხვა ხარჯები	1,085,208	541,812	1,627,020	3,371,917
სულ:	84,602,903	108,433,355	193,036,258	185,958,469
ფინანსური შედეგი	(6,311,772)	(141,616)	(6,453,388)	1,487,904

ფორმა N3. ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში

დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	მესამე პირის გადახდები	სულ
წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	(135,513)	(287,723)	-	(423,236)
კორექტირებები:	8,992,592	(11,579,687)	-	(2,587,095)
<i>ცვეთა (+)</i>	16,239,153	6,548,359	-	22,787,512
აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+)	(5,845,951)	22,774	-	(5,823,177)
მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	(111,340)	59,131	-	(52,209)
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები ზრდა/კლება	147,048	(106,694)	-	40,354
დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	(1,869,027)	(20,242,664)	-	(22,111,691)
კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	432,709	2,139,407	-	2,572,116
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	8,857,079	(11,867,410)	-	(3,010,331)
ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან				
არაფინანსური აქტივების გაყიდვა	-	1,730,000	-	1,730,000
ძირითადი აქტივები	-	1,730,000	-	1,730,000
სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
ფასეულობები	-	-	-	-
არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-
საინვესტიციო ქონება	-	-	-	-
არაფინანსური აქტივების შესყიდვა	8,844,293	5,483,887	-	14,328,180
ძირითადი აქტივები	8,745,007	5,483,837	-	14,228,844
სტრატეგიული მარაგები	67,000	-	-	67,000
ფასეულობები	-	-	-	-
არაწარმოებული აქტივები	32,286	50	-	32,336
საინვესტიციო ქონება	-	-	-	-
წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან	(8,844,293)	(3,753,887)	-	(12,598,180)
ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა				-
წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა	(14,237,125)	215,623	-	(14,021,502)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(14,237,125)	215,623	-	(14,021,502)
ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება	(14,224,339)	(15,405,674)	-	(29,630,013)
ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	15,069,929	28,633,502	-	43,703,431
ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	846,282	13,750,610	-	14,596,892
ვალუტა და დეპოზიტებით მიღებული კურსთაშორის სხვაობა (-/+)	(699,306)	-	-	-
დროებით შეზღუდული თანხები (აკრედიტივები)	-	-	-	-

ფორმა N4. კაპიტალში ცვლილების შესახებ ანგარიში

დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ
საწყისი ნაშთი	314,621,161	129,889,561	444,510,722
საადრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები	-	-	-
წინა პერიოდ(ებ)ის შეცდომები	-	-	-
გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი	314,621,161	129,889,561	444,510,722
არასაოპერაციო შემოსავლები	13,455,858	3,464,979	16,920,837
კურსთაშორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	5,053,557	-	5,053,557
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	8,402,301	3,464,979	11,867,280
არასაოპერაციო ხარჯები	7,202,981	3,482,830	10,685,811
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	3,885,216	-	3,885,216
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	3,317,765	3,482,830	6,800,595
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები	76,618	128,255	204,873
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით	76,618	-	76,618
მოგების გადასახადი	-	128,255	128,255
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	(6,311,772)	(141,616)	(6,453,388)
ნაშთი წლის ბოლოს	314,485,648	129,601,839	444,087,487

ფორმა N5. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიში

დასახელება	ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	გადახრა % დაზუსტე ბულ და დამტკიცე ბულ გეგმას შორის	საკასო (ფაქტობრივი ი) ხარჯი	გადახრა % საკასო (ფაქტობრივი) ხარჯსა და დაზუსტებულ გეგმას შორის	დარიცხ ული ხარჯი	გადახრა დარიცხულ და საკასო (ფაქტობრივი) ხარჯს შორის
ხარჯები	66,215,000	68,770,186	1	67,536,157	1	84,602,903	17,066,746
მათ შორის:							
შრომის ანაზღაურება	49,365,000	49,362,580	1	49,358,754	1	49,358,136	(618)
არაფინანსური აქტივების ზრდა	16,085,000	13,559,500	1	8,844,292	1	-	-
ფინანსური აქტივების ზრდა	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების კლება	-	-	-	-	-	-	-

საკონტაქტო ინფორმაცია

ანგარიშის ავტორები	გიორგი ჭოლოკავა - gcholokava@sao.ge პაპუნა ხოფერია - pkhoperia@sao.ge ბესიკ ფერაძე - bppheradze@sao.ge
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://sao.ge/ https://budgetmonitor.ge/ka http://blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38